ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა № 594 ---

4 ნოემბერი

"---" -------- 2022 წ.

ქ. თბილისი

მისამართზე - ქ. თბილისი, იასამნის ქ. №4 (ს/კ. №01.10.11.001.116) - არსებული დაუმთავრებელი სამშენებლო ობიექტის დასრულებისათვის შპს ,,გელოვანის" (ს/კ. 405411157) მიმართ დამატებითი/დაზუსტებითი ხელშემწყობი ღონისძიების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, ,,ტექნიკური რეგლამენტის - დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №59 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი - ,,დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების" 35-ე მუხლისა და „მისამართზე - ქ. თბილისი, იასამნის ქ. № 4 (ს/კ. №01.10.11.001.116) - არსებული დაუმთავრებელი სამშენებლო ობიექტის დასრულებისათვის შპს ,,გელოვანის" (ს/კ. 405411157) მიმართ დამატებითი/დაზუსტებითი ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის 2 ნოემბრის №22.1688.1828 განკარგულების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, შპს ,,გელოვანის" (ს/კ. 405411157) მიმართ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ დამტკიცებული (განკარგულება №20.1444.1784, 7.12.2020) და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ შეთანხმებული (განკარგულება №405, 15.12.2020) მხარდამჭერი ღონისძიებების ფარგლებში, მისამართზე - ქ. თბილისი, იასამნის ქ №4 (ს/კ. №01.10.11.001.116) - შემდეგი დამატებითი/დაზუსტებითი ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენებაზე:

ა) მისამართზე - ქ. თბილისი, იასამნის ქ. №4 (ს/კ.№01.10.11.001.116) - არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით შპს „დაკიდებული ბაღების" (ს/კ. 212272869) და შპს „გელოვანის (ს/კ. 405411157) მიმართ ვამოყენებული ხელშემწყობი ღონისძიებების ფარგლებში, შპს ,,გელოვანის" (ს/კ. 405411157) მიმართ არსებული ვალდებულება უპირობო და გამოუხმობადი საბანკო გარანტიის წარმოდგენის ნაწილში, გაუქმდეს;

ბ) ხელშემწყობი ღონისძიებების ფარგლებში შემუშავებული და დამტკიცებული არქიტექტურული პროექტის შესაბამისად, სარეალიზაციო ფართების განკარგვა და უფლებრივად დატვირთვა დასაშვებია მხოლოდ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს თანხმობის საფუძველზე, დაინტერესებულ პირსა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს შორის

გაფორმებული შესაბამისი ხელშეკრულებით, რომლითაც განისაზღვრება სარეალიზაციო ფართების განკარგვის საკითხი. კერძოდ:

ბ.ა) კომპანიას მე-6-მე-11 სართულებზე არსებული ფართების განკარგვის და უფლებრივად დატვირთვის უფლება წარმოეშობა 5 სართულის (კომერციული ან/და საცხოვრებელი ფუნქციის შემცველი ფართებით დატვირთული სართულის) არანკლებ კარკასულ მდგომარეობამდე აშენების შემდეგ;

ბ.ბ) შენობა-ნაგებობის მე-11 სართულის არანაკლებ კარკასულ მდგომარეობამდე აშენების შემდგომ, კომპანიას წარმოეშობა მე-12-მე-18 სართულებზე არსებული ფართების განკარგვის და უფლებრივად დატვირთვის უფლება;

ბ.გ) შენობა-ნაგებობის მე-18 სართულის არანაკლებ კარკასულ მდგომარეობამდე აშენების შემდგომ, კომპანიას წარმოეშობა მე-18 სართულის შემდგომ სართულებზე არსებული ფართების განკარგვის და უფლებრივად დატვირთვის უფლება;

ბ.დ) შენობა-ნაგებობის ამ განკარგულების პირველი პუნქტის „ბ.ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ 5 სართულზე განთავსებული ფართების განკარგვის და უფლებრივად დატვირთვის უფლება კომპანიას წარმოეშობა მთლიანი შენობა-ნაგებობის არანაკლებ კარკასულ მდგომარეობამდე აშენების შემდგომ, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ამ ფართების განკარგვა ხდება ამ მშენებლობაში დასაკმაყოფილებელ დაზარალებულებზე.

გ) ეთხოვოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს, მისამართზე - ქ. თბილისი, იასამნის ქ № 4 (ს/კ. №01.10.11.001.116) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისთვის ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენებასთან დაკავშირებით, მოამზადოს და დაინტერესებულ პირთან გააფორმოს ხელშეკრულება ამ განკარგულების პირველი პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტით განსაზღვრულ შეზღუდვებთან დაკავშირებით, რომელიც რეგისტრირებულ უნდა იქნას საჯარო რეესტრში და ფიქსირდებოდეს შესაბამისი უძრავი ნივთების ამონაწერებში. აღნიშნული ხელშეკრულება უნდა გაფორმდეს და შეზღუდვა დარეგისტრირებულ იქნას მშენებლობის ნებართვის გაცემის შემდეგ, თუმცა არაუგვიანეს ნებართვის საფუძველზე ინდივიდუალური (განშლილი) ფართების საჯარო რეესტრში რეგისტრაციამდე, მხოლოდ იმ პირობით, რომ აღნიშნული ხელშეკრულების გაფორმება (შეზღუდვის რეგისტრაცია) განისაზღვრება შესაბამისი მშენებლობის ნებართვის პირობად. ამ განკარგულების პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტით განსაზღვრული პირობების შესრულება დადასტურებულ უნდა იქნას შესაბამისი საექსპერტო დასკვნით, რომელიც გაცემულ უნდა იქნას სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და დაინტერესებულ პირს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით განსაზღვრული პირ(ებ)ის მიერ.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ტყემალაძე